განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კერძო სამართალი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

6 ივნისი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

26 ივნისი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში, 0603
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პირობითად აკრედიტებული 1 წლის ვადით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 22/10/2018, #138

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის დირექტორი, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი - სამართლის დოქტორი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტი; მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლისა და ტურიზმის სკოლაში.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

§ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს“ აქვს სამართლის მაგისტრატურა, რომლის შემადგენელი ნაწილია კერძო სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამას ამჟამად აქვს პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით აკრედიტაციის საბჭოს #138-ე გადაწყვეტილების თანახმად (22.10.2018). პროგრამაში ჩარიცხულია 27 სტუდენტი.

§ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა წინასწარ გათვალისწინებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფს შეხვედრა ჰქონდა როგორც უსდ-ს და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, ასევე, უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან. ამავდროულად, შეხვედრები გაიმართა დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, მათ შორის მათთან ვისაც უკვე აქვს დასახელებული უსდ დამთავრებული და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, დეტალურად გაეცნო უსდ-ს მატერიალურ რესურსებს.

§ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მიუხედავად განმეორებითი აკრედიტაციისთვის მიღწეული შედეგებისა, სამართლის პროგრამა მაინც მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აკრედიტაციის სტანდარტებთან ნაწილობრივ შესაბამისია პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე, სწავლების მეთოდები. სრულად შესაბამისობაში არის მხოლოდ ერთი სტანდარტი - მატერიალური რესურსები.

§ **რეკომენდაციები**

- ➔ პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია უსდ-მა სხვადასხვა მიმართულებები გააძლიეროს. მაგალითად, აუცილებელია დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირი და შედეგები გახდეს უფრო მიღწევადი და რეალისტური;
- ➔ მნიშვნელოვანია საგნების და პროგრამის მიზნები დაფუძნდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე;
- ➔ პროგრამის მიზნები უნდა იყოს გასაგებად და ზუსტად ფორმულირებული;
- ➔ პროგრამის მიზნები უნდა იყოს დასაბუთებული და გაანალიზებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
- ➔ პროგრამის მიზნები უნდა იყოს კავშირში სწავლის შედეგებთან და იყოს რეალისტური და მიღწევადი;
- ➔ სასურველია, დაკონკრეტდეს, ბაზირებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- ➔ სწავლის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს და საბუთდებოდეს სხვადასხვა დოკუმეტებიდან, მათ შორის შრომითი ბაზრის მოთხოვნებიდან;
- ➔ აუცილებელია საგნების სილაბუსების გადახალისება, იმისათვის, რომ უკეთესად შეესაბამებოდეს სწავლის მიზნებს და შედეგებს;
- ➔ შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსი არის გასაახლებელი;
- ➔ სასურველია, დაკონკრეტდეს უცხო ენათა ჩამონათვალი, განისაზღვროს B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან და გაიწეროს ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება;
- ➔ პროგრამის შემადგენელი სასაწვლო კურსები გადასახედია როგორც შინაარსობრივად ასევე მიზნობრივად, ანუ პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით: უნდა მოხდეს კონკრეტული საგნების ინტეგრირება ან/და მოდიფიცირება ისე, რომ პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- ➔ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა დაკონკრეტდეს, იყოს ხელმისაწვდომი და უნდა პასუხობდეს პროგრამის შინაარსის დაძლევისათვის საჭირო კრიტერიუმებს;
- ➔ პროგრამის სწავლის შედეგები დასაკონკრეტებელია, არ უნდა იყოს პირდაპირ გადმოტანილი დარგობრივი მახასიათებლიდან;

- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, გვხვდება ისეთი დონის ხარვეზებიც, როგორც შედარებითი საკორპორაციო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემულია. სასურველია, ის მოდიფიცირებულ იქნეს;
- სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი), სასურველია, გაწერილ იქნეს მხოლოდ სასწავლო კომპონენტების მიმართ და არა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიმართ;
- უნდა დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართების დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- რამდენიმე სასწავლო კურსი მოითხოვს იმგვარად მოდიფიცირებას, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურის დონესთან. მაგალითად, სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები“თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით კონტექსტში შესწავლა. ასევე, სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში“ არსებითად მოითხოვს დახვეწას როგორც საგანანმანათლებლო საფეხურის დონის მიხედვით (ის ბაკალავრიატის დონეზე ისედაც ისწავლება (ინტეგრირებულია კერძოსამართლებრივ სასწავლო კურსებში), ისე შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით: აქ, სასურველია, იყოს უფრო შედარებითი კურსი წარმოდგენილი;
- უსდ-ს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. სასურველია სტუდენტის აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით განხორციელდეს ეს უკანასკნელი, ასევე მნიშვნელობანია იმის ხაზგასმაც რომ ნაშრომის წერა უკვე

არსებული/დამტკიცებული ე.წ. ნიმუშის გამოყენებით არ დაემსგავსოს აუცილებლ/სავალდებულო გამოსაყენებელ შაბლონს, რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლოა არ იყოს რელევანტური, საკვლევი თემის არსის, შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით;

- ➔ უსდ-მ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა. მნიშვნელოვანია დაიგეგმოს პრობლემური საკითხების განხილვისათვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა/დაკონკრეტება, საკითხის აქტუალობისა და კურსით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით;
- ➔ აუცილებელია, სასწავლო უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უფრო მეტი აკადემიური/მოწვეული პერსონალი მიიღებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და აღნიშნულ აქტივობებს ექნება სისტემატიური ხასიათი; ამისათვის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა, გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი და შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვროს აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი; ამასთან ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით;
- ➔ აუცილებელია დაინტერესებულ პირთა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში მეტი, ფართო და უშუალო ჩართულობა;
- ➔ აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დრო იკვეთებოდეს სუსტი მხარეები, ის ხდებოდეს მსჯელობის საგანი სამომავლო გაუმჯობესების მიზნით. მოცემული პროცესი უნდა აისახოს თვითშეფასების ანგარიშში შეძლებისდაგვარად ზუსტად;
- ➔ პროგრამის მონიტორინგის კუთხით არ განხორციელებულა მისი უცხო პროგრამასთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. სასურველია, რომ აღნიშნული პროცესი იმ კომპლექსური მექანიზმების პარალელურად სრულდებოდეს, რომელიც ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე შეფასების სხვა მექანიზმების ერთობლიობით.

§ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

§ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

§ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი აკრედიტაციის ვიზიტიდან გასული იყო დაახლოებით 7 თვე, რაც არ არის დიდი დრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შესატანად. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ 1 წლიანი ვადის შემთხვევაში უსდ უფრო ბევრი ცვლილების განხორციელებას შეძლებდა. უკანასკნელი აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ, უსდ-მ შეცვალა პროგრამის ხელმძღვანელი, დაამატა ახალი საგნები, მათ შორის, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი, რომელიც მიზნად ისახავს გაზარდოს ინტერნაციონალიზაციის მასშტაბი, მოიწვია დამატებით 2 ლექტორი, ორგანიზება გაუწია საერთაშორისო კონფერენციას და გამოსცა კონფერენციის შედეგები კრებული სახით, მოიპოვა წვდომა პლაგიატის პროგრამაზე, შეიქმნა იურიდიული კლინიკა და განახორციელა სხვა ღონისძიებები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა, პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებში არსებითი პრობლემები იკვეთება. კერძოდ, პროგრამის მიზნები არ არის დაკონკრეტებული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით, ანუ პროგრამას აქვს ბევრი მიზანი, რომელიც კომპლექსურად გაერთიანებულია 6 მიზანში; ასევე, პროგრამას აქვს სწავლის ბევრი შედეგი, რომელიც დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, გაერთიანებული ასევე 6 კომპლექსურ შედეგში, თუმცა, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული მიზნისა და კონკრეტული შედეგის ურთიერთმიმართებას, რათა ის გაზომვადი იყოს და აქედან გამომდინარე, რეალისტური და მიღწევადი. პროგრამის მიზნებში აქტიურ ადგილს იკავებს როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული და კვლევითი უნარების მიზნები. თუმცა მეორე მხრივ პროგრამის მიზნები დაფუძნებული უნდა იყოს და გამომდინარეობდეს პროგრამის სილაბუსებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, და პირიქით, პროგრამის სილაბუსები უნდა იყოს პროგრამის მიზნების შესაბამისი. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ კვლევით კომპონენტში ძალიან რთული იქნება, თუ შეუძლებელი არა პროგრამის მიზნების მიღწევა და ამავდროულად,

რთული იქნება პრაქტიკული უნარების შესწავლა სტუდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-მ დანერგა პლაგიატის ელექტრონული პროგრამა სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი, მათში არსებული ციტირებები და მითითებული წყაროები საშუალოზე დაბალი სტანდარტისაა (მაგალითად, გამოყენებულია ისეთი წყაროები როგორიცაა lari.ge, liberali.ge, და ა.შ.), რაც შეუძლებელს გახდის სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარებას. უნდა აღნიშნოს, რომ ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა სამაგისტრო ნაშრომები ძირითადად 2018 წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით. 2019 წლის სამაგისტრო ნაშრომი იყო მხოლოდ ერთი, ისიც დაუსრულებელი და პროექტის სახით.

ამავდროულად, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი ზოგადად საუბრობს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობაზე და არ გამოჰყოფს რომელიმე სპეციალობის ან მიმართულების ან საგნის სწავლის აუცილებლობას და საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში რამდენიმე კვირის წინ გაიხსნა იურიდიული კლინიკა, დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათი მოთხოვნით დაემატა საგანი (მედიაცია) და ზოგადად უსდ შედარებით მეტ ყურადღებას უთმობს არბიტრაჟსა და მედიაციას, რაც, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა შრომის ბაზრის წარმოდგენილი ანალიზი არ ასახავს რაიმე კავშირს უსდ-ს მიერ განხორციელებული პრაქტიკულ კომპონენტებთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუ.
- დანართი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნები უნდა იყოს გასაგებად და ზუსტად ფორმულირებული;
- პროგრამის მიზნები უნდა იყოს დასაბუთებული და გაანალიზებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
- პროგრამის მიზნები უნდა იყოს კავშირში სწავლის შედეგებთან და იყოს რეალისტური და მიღწევადი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პლაგიატის ელექტრონულ პროგრამაზე წვდომა
- იურიდიული კლინიკის ამოქმედება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

Ø პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

Ø პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

Ø შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა, პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებში არსებითი პრობლემები იკვეთება. კერძოდ, პროგრამის მიზნები არ არის დაკონკრეტებული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით, ანუ პროგრამას აქვს ბევრი მიზანი, რომელიც კომპლექსურად გაერთიანებულია 6 მიზანში; ასევე, პროგრამას აქვს სწავლის ბევრი შედეგი, რომელიც დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, გაერთიანებული ასევე 6 კომლექსურ შედეგში, თუმცა, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული მიზნისა და კონკრეტული შედეგის ურთიერთმიმართებას, რათა ის გაზომვადი იყოს და აქედან გამომდინარე, რეალისტური და მიღწევადი.

პროგრამის სწავლის შედეგები, თავის მხრივ, პრობლემურია. ის შედგენილი უნდა იყოს 2010 წლის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, თუმცა, პროგრამის სტრუქტურასა და თვითშეფასების ანგარიშში ჩვენ ვხედავთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დაფუძნებული არ არის აღნიშნულ ორ დოკუმენტზე და ფაქტობრივად, გამეორებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გაწერილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. შესაბამისად, სასურველია, დაკონკრეტდეს, დაფუძნებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები.

როგორც აღიარებულია, სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები დაფუძნებული იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგებში არ არის გამოკვეთილი კონკრეტული შრომის ბაზარზე მორგებული კონრეტული უნარ-ჩვევა და ძირითადად აქცენტი არის გაკეთებული კვლევაზე, რაც, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, თუმცა საკუთრივი კვლევითი კომპონენტიც უნდა იყოს სწავლის შედეგებთან შესაბამისი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა არ იძლევა საჭიროებების განსაზღვრის საშუალებას, რადგან ზოგადად კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას

ადარებს ისეთ საკითხებს როგორიცაა კომპიუტერული უნარები, პროფესიული განათლება და ა.შ. და ასკვნის, რომ დამსაქმებელი უფრო მეტად კომპიუტერულ უნარებს ითხოვს, ვიდრე სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრ ებულს. ბუნებრივია არ არსებობს დამსაქმებელი, რომელსაც კომპიუტერული უნარების არ მქონე პირის მიღება უნდა სამსახურში, თუმცა მეორე მხრივ კომპიუტერულ უნარებთან სამართლის სამაგისტრო პროგრამის შედარება არ არის სწორი. უკეთესი იქნებოდა, საკუთრივ პროგრამის შიგნით, საგნებს შორის, მიმართულებებსა და გაღრმავებებს შორის გაკეთებულიყო შედარება, რაც მისცემდა უსდ-ს პროგრამის საგნების სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას და ამ საგნების გავლის შედეგად მიღებული უნარებიც ასახვას ჰპოვებდა სწავლის შედეგებში.

მაგალითად, პროგრამის ნაწილია ისეთი საგნები როგორიცაა "კერძო სამართლის აქტუალური პრობლემები", რომლის პირველი რამდენიმე ლექცია ეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა კერძო და საჯარო სამართლებრივი ურთიერთობათა გამიჯვნის პრობლემა, კერძო სამართლის სისტემა და სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა სპეციალური დარგებისათვის, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია და ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია, და ა.შ. რაც ფაქტობრივად წარმოადგენს სამართლის საბაკალავრო საფეხურისთვის შესასწავლი საკითხების ჩამონათვალს. სამაგისტრო პროგრამა შესაბამისი სირთულით უნდა გამოირჩეოდეს, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს სწავლის შედეგებზე. იგივე შეიძლება ითქვას საგანზე "ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში". საგანი "შედარებითი საკორპორაციო სამართალი" ძირითადად აგებულია ბატონ ლადო ჭანტურიას 2006 წელს გამოშვებული წიგნის "კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისგმებლობა საკორპორაციო სამართალში" მიხედვით. ცალკე აღებული წიგნი ძალიან კარგია, თუმცა საკორპორაციო სამართლის შედარებითი მიზნებისთვის საკმარისი არ არის. კარგი იქნებოდა თუ აღნიშნული საგანში ნაჩვენები იქნებოდა საკუთრივ როგორი გავლენა მოახდინა ქართულ საკორპორაციო სამართალზე და მის ინსტიტუტებზე კონტინენტურმა და ანგლო-ამერიკულმა სამართალმა. ცალკეული თემები საკმაოდ ფართოა და თითქმის შეუძლებელია მათი ერთი ლექციის განმავლობაში შესწავლა. ამავდროულად, საგნის სწავლების შედეგებში მითითებულია, რომ კურსის გავლის შედეგად სტუდენტი გაეცნობა ევროპული დირექტივების გავლენის მნიშვნელობას ქართულ საკორპორაციო სამართალზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

დასახელებულ საგანში ევროპის დირექტივების ეთმობა მხოლოდ ბოლო ლექცია, სადაც 5 დირექტივის ერთდროული შესწავლა მიდის. ამავდროულად უნდა ითქვას, რომ დასახელებულ დირექტივებში ვერ ვნახეთ 2017/1132 დირექტივა (ე.წ. სამეწარმეო სამართლის დირექტივა), რომელიც ფაქტობრივად მანამდე არსებული დირექტივების კოდიფიცირებული ვერსიაა, რაც კიდევ ერთხელ ეჭქვეშ აყენებს საგნის სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუ.
- საგნების სილაბუსები.
- დანართი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- სასურველია, დაკონკრეტდეს, ბაზირებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები.
- სწავლის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს და საბუთდებოდეს სხვადასხვა დოკუმეტებიდან, მათ შორის შრომითი ბაზრის მოთხოვნებიდან.
- აუცილებელია საგნების სილაბუსების გადახალისება, იმისათვის, რომ უკეთესად შეესაბამებოდეს სწავლის მიზნებს და შედეგებს.
- შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსი არის გასაახლებელი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		**X**		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სპეციფიკურია: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენი–ლი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა: · შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში; · უცხო ენის შესაბამის დონეზე (B2) ცოდნის დადასტურება დადგენილი სერტიფიკატით ან გამოცდით. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ საჯაროა და განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მითითებულ საკონტაქტო პირისგან ან უშუალოდ სასწავლო უნივერსიტეტში მისვლით. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას საჯაროობის, სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის კუთხით, თუმცა, გამოიკვეთება მაგისტრატურის პროგრამისათვის მნიშვნელოვანი ხარვეზი:

სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს ზოგადად B2 დონის უცხო ენის გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარდგენა, საიდანაც იკვეთება ორი სახის პრობლემა:

1. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველი პირისათვის, რომელიც უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლდება, არ არის განსაზღვრული B2 დონის სერტიფიკატთა ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომელიც უცილობლად დაადასტურებს ასეთი პირის B2 დონეს. ეს ჩამონათვალი უნდა იყოს დაახლოებით შემდეგნაირად:

გერმანული ენა	Goethe - Zertifikat B2					
	Deutsches Sprachdiplom (DSD)					
	TestDaF-Niveaustufe 3* (TDN 3)					
	DSH 1					
	UNIcert II					
	telc B2					
ინგლისური ენა	**TOEFL Paper**	**TOEFL CBT**	**TOEFL IBT**	**IELTS**	**FCE**	**CERTUS**
	513 - 547	183 - 210	65 - 78	5.5 – 6.5	161 -180	72 -88,25
ფრანგული ენა	Diplôme d'Etudes en Langue Française DELF B2 (51-დან)					

2. რაც შეეხება მეორე პრობლემას, პროგრამით არ არის განსაზღვრული მისაღები უცხო ენათა ჩამონათვალი, რაც, თავის მხრივ, ორი მიმართულებით ქმნის პრობლემას: ა) მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველ პირს, ფაქტობრივად, შეუძლია ნებისმიერი ენაზე ჩაბარება მოითხოვოს და არა ერთ-ერთ ევროპულ ენაზე და ბ) იმ შემთხვევაში თუ ფრანგულ ენაზე მოისურვებს სტუდენტი გამოცდის ჩაბარებას, მაშინ მას ეზღუდება შესაძლებლობა ორი საგანი, რომელიც უნივერსიტეტმა დაამატა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კონტექსტით, საერთაშორისო არბიტრაჟის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები - ინგლისურ ენაზე და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა - ინგლისურ ენაზე გაიაროს იმ ენაზე, რომელშიც მას ექნება კომპეტენცია ან, მეორე ვარიანტი იარსებებს - უნივერსიტეტმა აღნიშნული

საგანი ნებისმიერ უცხო ენაზე უნდა შესთავაზოს, რაც, არსებული აკადემიური რესურსიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

შესაბამისად, სასურველია, დაკონკრეტდეს უცხო ენათა ჩამონათვალი, განისაზღვროს B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან და გაიწეროს ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- მაგისტრატურის დებულება.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

სასურველია, დაკონკრეტდეს უცხო ენათა ჩამონათვალი, განისაზღვროს B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან და გაიწეროს ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიის გამოყენებით. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატორია სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამული მიმართულება/კათედრა, ხოლო პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი.

პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით პროგრამის შემუშავების ჯგუფის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას პროგრამის შემუშავების ჯგუფი განსახილველად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტის საბჭოს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს პროგრამას, რამდენად შეესაბამება ის დადგენილ მოთხოვნებს და შესაბამის დასკვნას გადასწემს ფაკულტეტის საბჭოს.

ფაკულტეტის საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, თუმცა, გარკვეული ხარვეზებით: არ აქვს განსაზღვრული B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან და არ არის გაწერილი ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება.

პროგრამის მოცულობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, თუმცა, პროგრამის შინაარსში გარკვეული ცდომილებები შეინიშნება. კერძოდ, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსი „კერძო სამართლის აქტუალური პრობლემები და ნოვაციები“ და „ქონებრივი და მორალური პასუხისმგებლობა კერძოსამართლებრივი ვალდებულებების დარღვევისას“. პირველი საგანი და მისი შინაარსი იმდენად კომპლექსური, ზოგადი და ყოვლისმომცველია, რომ მისი, როგორც სავალდებულო საგნით, პროგრამის სწავლის შედეგების

გაზომვა და შეფასება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. რაც შეეხება მეორე საგანს, მაგისტრატურის დონე კერძოსამრთლებრივი ვალდებულების დარღვევისათვის ქონებრივ და მორალურ პასუხისმგებლობას ამ კონტექსტში, როგორც ის პროგრამაშია მოცემული, არ უნდა ითვალისწინებდეს, რადგან, სტუდენტი სამართლის ბაკალავრიატის საფეხურზე, რომელიც წინაპირობაა მაგისტრატურაში ჩაბარების, გადის კერძო სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტს (მიმართულებას), მათ შორის, უცილობლოდ გადის პასუხისმგებლობის საკითხებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს „მორალური ზიანის ანაზღაურება“ სასწავლო კურსს (კოდით EB4).

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსში მოცემულია სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში“, რომელიც სამაგისტრო დონის, ამ ფორმატით, ვერ იქნება - სამართლის საბაკალავრო პროგრამით სტუდენტი სწორედაც რომ ფლობს (უნდა ფლობდეს) ისეთი საკითხის შესახებ ცოდნას, როგორიც ვადებია. სხვა საკითხია, მოცემულ სასწავლო კურსში შედარებითი ანალიზი რომ ყოფილიყო წარმოდგენილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას ეხება, არის სასწავლო კურსის „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები“ თაობაზე. მოცემული სასწავლო კურსი, თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით კონტექსტში შესწავლა.

დაბოლოს, პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში მოცემულია სასწავლო კურსი „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“. ეს კურსი, თავისი სახელწოდებიდან

გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის, თუმცა, წარმოდგენილი საგნის შინაარსი საჭიროებს მნიშვნელოვან კომენტირებას:

· ის არის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული კურსი, რომელიც უნდა სწავლობდეს საკორპორაციო სამართალს ქართული საკორპორაციო სამართლისათის რელევანტური უცხო მსგავს რეგულაციებთან დადარებით. თუმცა, მაგალითად, პირველი ლექციის შინაარსში ვხვდებით ისეთ საკითხებს, როგორიც საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაშია, საკორპორაციო სამართალი როგორც მეცნიერება და დისციპლინაა. ბუნებრივია, ეს საკითხები სტუდენტს უკვე გავლილი აქვს ბაკალავრიატის დონეზე. ამ საკითხს პირდაპირ ებმის ის სავალდებულო ლიტერატურა, რომლითაც ასეთი კომპლექსური საკითხები უნდა იქნეს შესწავლილი, პრაქტიკულად, ვერ პასუხობს იმ თემებს, რომელსაც ისინი მიემართებიან.

· შედარებითი კონტექსტი მოიცავს სამართლებრივ ფორმათა დადარებას, თუმცა, საგანი, ძირითადად, კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა დადარებას ეხება მესამე ლექციის თემატიკაში, რაც საგნის სახელწოდებას ნაკლებად პასუხობს.

· საგანი ითვალისწინებს კორპორაციული მოდელის საკითხს, სადაც განხილული ევროპის სააქციო საზოგადოების მაგალითი, თუმცა, როგორც მინიმუმ, მისი მარეგულირებელი დადგენილება არ არის მითითებული თუნდაც დამატებით ლიტერატურაში.

· ასევე, მე-12 ლექცია, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საკითხს ეხება, ფაქტობრივად, ნაციონალურ რეგულაციებს ეყრდნობა. თუმცა, მხოლოდ ქართულს რომ ეხებოდეს, ისეთი გადაწყვეტილების ანალიზის გარეშე აღნიშნული საკითხის განხილვა, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო, პრაქტიკულად

წარმოუდგენელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების კრიტიკის მომცველი სტატია ლიტერატურაში მითითებულია.

· დაბოლოს, მე-15 ლექციის თემა, რომელიც ევროპის კავშირის საკორპორაციო-სამართლებრივ დირექტივებს ეხება, წარმოდგენილია ევროპის კავშირის საბჭოს და პარლამენტის მიერ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან 21-ე საუკუნის (ფაქტობრივად) დასაწყისამდე მიღებული დირექტივები. საკითხი ყურადღებას არ დაისახურებდა რომ არა ერთი გარემოება - აღნიშნულმა დირექტივებმა, რომელიც თითო საკითხს განსაცლკევებულად აწესრიგებდა, 2017 წლის ზაფხულში განიცადა კოდიფიცირება. შესაბამისად, მაგისტრატურის (და არა მხოლოდ მაგისტრატურის) საფეხურზე მსგავსი მონაცემები აუცილებლად განახლებული უნდა იქნეს და ისე გაკეთდეს მისი არსებული თუ მომავალი სტუდენტისათვის შეთავაზება.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვები წინაპირობებს, თუმცა არ არის განსაზღრული უცხო ენის B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს აღნიშნული გამოცდისაგან გაათავისუფლებდა, არ არის განსაზღვრული გათავისუფლების პროცედურები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, არ არის განსაზღვრული უცხო ენათა ჩამონათვალი, რომლის ჩაბარებაც შეეძლება მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველ პირს.

პროგრამაში სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი თანაფარდობაშია. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. დაწესებულებას სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი აქვს საგნების არჩევის შესაძლებლობაც. ამასთან, პროგრამის შემუშავებაში, მეტ-ნაკლებად, ყველა დაინტერესებული პირი იყო ჩართული. უსდ-ში უზრუნველყოფილი პროგრამის

შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

პროგრამის სწავლის შედეგები, თავის მხრივ, პრობლემურია. ის შედგენილი უნდა იყოს 2010 წლის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, თუმცა, პროგრამის სტრუქტურასა და თვითშეფასების ანგარიშში ჩვენ ვხედავთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დაფუძნებული კი არ არის აღნიშნულ ორ დოკუმენტზე და შესაბამისად ჩამოყალიბებული, არამედ, ფაქტობრივად, გამეორებული სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გაწერილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. შესაბამისად, სასურველია, დაკონკრეტდეს, ბაზირებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში.

ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შემადგენელი სასაწვლო კურსები გადასახედია როგორც შინაარსობრივად ასევე მიზნობრივად, ანუ პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით: უნდა მოხდეს კონკრეტული საგნების ინტეგრირება ან/და მოდიფიცირება ისე, რომ პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა დაკონკრეტდეს, იყოს ხელმისაწვდომი და უნდა პასუხობდეს პროგრამის შინაარსის დაძლევისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

პროგრამის სწავლის შედეგები დასაკონკრეტებელია, არ უნდა იყოს პირდაპირ გადმოტანილი დარგობრივი მახასიათებლიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

Ø ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

Ø სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოცემული სტანდარტი ეხება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიმართებას. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგი მაგისტრატურის საფეხურის დონეს ნაკლებად შეესაბამება. აქ საკითხი რამდენიმე მიმართულებით უნდა განიმარტოს.

პირველი, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ზოგადია იქიდან გამომდინარე, რომ, ფორმალურად, პროგრამის 6 მიზნისა და 6 შედეგის არსებობის, თუმცა როგორც მიზანი, ისე სწავლის შედეგი გაცილებით მეტ კომპეტენციაზე გადის. შესაბამისად, იმისათვის, რომ პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება დადგინდეს, პირველ რიგში აუცილებელია პროგრამის კონკრეტული მიზნის კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლის ილუსტრირება მოხდეს, რის შემდეგაც გამოყენებულ იქნება ის ე.წ. ცხრილი, რომლითაც პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, პროგრამის სასწავლო კურსები გამსხვილებულ პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას გვიჩვენებს, რაც, რეალურად, გაზომვადი არ არის რათა შეფასებულ იქნეს მისი მიღწევადობის მაჩვენებელი.

მეორე, რამდენიმე სასწავლო კურსი მოითხოვს იმგვარად მოდიფიცირებას, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურის დონესთან. მაგალითად, სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები“ თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით

კონტექსტში შესწავლა. ასევე, სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში“ არსებითად მოითხოვს დახვეწას როგორც საგანანმანათლებლო საფეხურის დონის მიხედვით (ის ბაკალავრიატის დონეზე ისედაც ისწავლება (ინტეგრირებულია კერძოსამართლებრივ სასწავლო კურსებში), ისე შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით: აქ, სასურველია, იყოს უფრო შედარებითი კურსი წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საკითხი: სასწავლო კურსი (სილაბუსი) არის დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების თაობაზე. აღნიშნული განმარტება მოცემულია საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“, მეორე მუხლის 3[23] პუნქტში. როდესაც საკითხი სამეცნიერო-კვლევით ნაწილს ეხება, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომს, აქ უკვე კლასიკური გაგების სილაბუსს ვეღარ გამოვიყენებთ - მოცემულ შემთხვევაში გაწერილ უნდა იქნეს ერთჯერადად შეფასებისათვის რელევანტური მეთოდი-მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც გაწერილ უნდა იქნეს ისეთ დოკუმენტში, როგორიც, მაგალითად, მაგისტრატურის დებულება ან სამაგისტრო ნაშრომის შესრულების/დაცვის წესებია (ეს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაზეა დამოკიდებული).

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, გვხვდება ისეთი დონის ხარვეზებიც, როგორც შედარებითი საკორპორაციო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემულია. სასურველია, ის მოდიფიცირებულ იქნეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

- **თვითშეფასების ანგარიში.**
- **ინტერვიუირება.**
- **კურიკულუმის რუკა.**

სილაბუსები.

რეკომენდაციები:

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, გვხვდება ისეთი დონის ხარვეზებიც, როგორც შედარებითი საკორპორაციო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემულია. სასურველია, ის მოდიფიცირებულ იქნეს. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი), სასურველია, გაწერილ იქნეს მხოლოდ სასწავლო კომპონენტების მიმართ და არა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიმართ.

უნდა დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართების დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რამდენიმე სასწავლო კურსი მოითხოვს იმგვარად მოდიფიცირებას, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურის დონესთან. მაგალითად, სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები“ თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით კონტექსტში შესწავლა. ასევე, სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში“ არსებითად მოითხოვს დახვეწას როგორც საგანანმანათლებლო საფეხურის დონის მიხედვით (ის ბაკალავრიატის დონეზე ისედაც ისწავლება (ინტეგრირებულია კერძოსამართლებრივ სასწავლო კურსებში), ისე შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით: აქ, სასურველია, იყოს უფრო შედარებითი კურსი წარმოდგენილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია მაგისტრატურის დონის შესაბამისად, ხოლო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის სპეციალისტი. თუმცა, სასურველია, რომ პრაქტიკული კურსი დივერსიფიცირებული იყოს და სტუდენტს მხოლოდ ერთი - პროფესიული პრაქტიკის უცილობლად აღება არ

უწევდეს. შესაძლებელია მისი კლასიფიცირება რამდენიმე მიმართულებით.

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას, რითიც სრულდება მაგისტრატურის დონეზე სწავლა. უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია, რომლის მასალებიც 2019 წელს გამოქვეყნებულ იქნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.**
- **თვითშეფასების ანგარიში.**

ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის სწავლის შედეგებში პრაქტიკული კომპონენტის როლს გაზრდის, თუ პრაქტიკული კურსი დივერსიფიცირებული იქნება და სტუდენტს მხოლოდ ერთი - პროფესიული პრაქტიკის უცილობლად აღება არ მოუწევს. შესაძლებელია მისი კლასიფიცირება რამდენიმე მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ცალკეული კომპენეტებისთვის (სასწავლო კურსი, მოდული) ამ მიდგომით შემუშავებული სწავლების მეთოდთა ერთობლიობა და შეფასების ადეკვატური მეთოდები/კრიტერიუმები უზრუნველყოფენ მათი და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, შეესაბმება უმაღლესი განათლების საფეხურსა და კურსის შინაარს. სწავლების მეთოდი არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.**
- **თვითშეფასების ანგარიში.**
- **ინტერვიუ.**
- **სილაბუსები.**

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ და უზრუნველყოფენ უკუკავშირს, ხოლო უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, თუ რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესის ყოველი დეტალი. ამ პროცესის მართვა გულისხმობს კონტროლს ზემოდან ქვემოთ (ლექტორი " სტუდენტი) და პირიქით (სტუდენტი " ლექტორი). შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება კომისიური წესით საქართველო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ერთჯერადად. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. უნივერსიტეტი შეფასების შედეგებს აანალიზებს და ცდილობს მის გამოყენებას სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.**
- **გამოკითხვის შედეგები.**
- **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.**
- **ინტერვიუ.**
- **სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.**

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		**X**		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (გთუნ-ი) (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით სტუდენტებისათვის ამომწურავად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებს საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის შესახებ, დეტალურად და გასაგებად მიეწოდებათ. სწავლის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, კორპორაციული ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების

ადმინისტრაციასთან, თემის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზრვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განიცადა მოდიფიკაცია და სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებელთა, შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და ბაზრის გამოწვევების შესაბამისად, სათანადო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი საგნები და გააქტიურდა სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვა, საუნივერსიტეტო კონფერენციებსა თუ სხვა მსგავს აქტივობებში მონაწილეობით - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობით სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაში, ასევე საზღვარგარეთ დაგეგმილ მსგავსს აქტივობებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულია ერასმუსის პროგრამაში ასევე, ყავს რამოდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტეტი სადაც გაცვლითი პროგრამებში სტუდენტები ღებულობენ მონაწილეობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპერტების მიერ, სტუდენტების ინტერვიუირების პროცესში, არ გამოიკვეთილა სტუდენტი(ები), რომელსაც გაცვლითი პროგრამით სარგებლობის გამოცდილება გააჩნდა და/ან დაინტერესებული იყო სამომავლოდ მსგავსი აქტივობით. ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერების მიზნით, უსდ-ს ორგანიზებით ეწყობა კონფერენციები, საჯარო ლექციები, რომლებსაც ატარებენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პრაქტიკოსი იურისტები. ექსპერტთა ვიზიტისას დადგინდა რომ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს, რომელიც სამომავლოდ გამოიყენება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას.

სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულია. დაწესებულების ხელშეწყობით მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები სისტემატიურად იღებენ უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. **სამართლის კლინიკა** -კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, შეიქმნა იურიდიული კლინიკა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები, უფასო იურიდიულ კონსულტაციას გაუწევენ მოქალაქეებს და სასამართლო დავებში, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, მიიღებენ მონაწილეობას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. იურიდიული კლინიკის ფარგლებში, სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმება ხორციელდება. იურიდიული კლინიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ საქმდებიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები; მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის მაგისტრანტებს

სთავაზობს აკადემიური პერსონალის არჩევით სალექციო კომპონენტებს უცხო ენაზე; მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, უცხო ენის უნარების განვითარების მიზნით, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ ყოფილა აქტიური, მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განსაზღვროს სტრატეგია, გააძლიეროს უცხო ენის შესწავლის მიმართულება, რომლის თანახმად დააინტერესებს/წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით კერძო სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; სტუდენტს, სწავლის პროცესში , ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, ძირითადად ისეთი პირები არიან ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება აქვთ, თუმცა ექსპერთა მიერ, ვიზიტის დროს სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა რიგი ხარვეზების, როგორც ნაშრომის შინაარსობრივ, ისე ფორმალურ ნაწილთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად კარგად/დამაკმაყოფილებლად არიან მომზადებულნი სამაგისტრო თემის დასამუშავებლად სტუდენტები, ისე როგორც ამას აღნიშული პროგრამისთვისთვის დადგენილი სტანდარტი ითვალისწინებს, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ

აღინიშნა, რომ მათ უწევთ ზრუნვა იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწაზე რაც აუცილებელია ნაშრომზე სამუშაოდ. გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერიც, რაც უზღუდავს სტუდენტს შესაძლებლობას უცხოენოვან წყაროებს გაეცნოს დედანში და აქტიურად გამოიყენოს კვლევის პროცესში. მოცემული ვითარებიდან იკვეთება რომ მაგისტრანტების უმეტესობა სრულფასოვნად არ ფლობს იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით, რაც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე მნიშვნელოვნად აისახება. უნდა აღინიშოს პროგრამაზე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში დამუშავებული ნაშრომების დაცვა ამ ეტაპზე არ განცირციელებულა. ექსპერტების მიერ შემოწმდა 2016-2018 წლების სამაგისტრო ნაშრომები. თუმცა, უნდა ითქვას იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელდა - სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მიდგომა, რომლის თანახმად შეიმუშავა სამაგისტრო ნაშრომის ნიმუში; მოდიფიკაცია განიცადა და შეიცვალა აკადემიური წერის სალექციო კურსი - სტუდენტებს შეეთავაზათ ძირითად სასწავლო გეგმასთან, სალექციო კურსი, "აკადემიურ წერა", რომელსაც გაუძღვება დარგის სპეციალისტი - პროფესიით იურისტი. აღსანიშნავია, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სტრატეგია, რომელიც ეხება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას დროის სწორად განსაზღვრისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც დაეხმარება სტუდენტს, ისევე როგორც ხელმძღვანელს, საბოლოო შედეგის მიღწევაში. აღსანიშნავია, ისიც რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომები, აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან,

სამართლის სამაგისტრო პროგრამის, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფოკუსირება სამაგისტრო ნაშრომების ეტაპობრივად, სწორად დამუშავებასა და განსაზღვრის სტრატეგიის შემუშავებაზე.

- უსდ-ს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. სასურველია სტუდენტის აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით განხორციელდეს ეს უკენასკნელი, ასევე მნიშვნელობანია იმის ხაზგასმაც რომ ნაშრომის წერა უკვე არსებული/დამტკიცებული ე.წ. ნიმუშის გამოყენებით არ დაემსგავსოს აუცილებლ/სავალდებულო გამოსაყენებელ შაბლონს, რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლოა არ იყოს რელევანტური, საკვლევი თემის არსის, შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით;

- უსდ-მ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა. მნიშვნელოვანია დაიგეგმოს პრობლემური საკითხების განხილვისათვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა/დაკონკრეტება, საკითხის აქტუალობისა და კურსით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		**X**		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
Ø პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; Ø პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; Ø პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; Ø პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი იმისათვის, რომ სწორად იქნას შეფასებული ადამიანური რესურსები, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს პროგრამის მდგრადი გავნითარების საფუძვლები რისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია შესაბამისი კადრების არსებობა, კვალიფიკაცია და შერჩევის წესი. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი არის ბატონო რომან შენგელია, რომელსაც სამართლის პროგრამების მართვის და განვითარების დიდი გამოცდილება აქვს. სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 4 აფილირებული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი და 4 მოწვეული ლექტორი. აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს ძირითადად აქვთ შესაბამისი საგნების წაკითხვის გამოცდილება და

განხორციელებული აქვთ რელევანტური სამეცნიერო მუშაობა. მოწვეული ლექტორი რომელიც კითხულობს შედარებით საკორპორაციო სამართალს, სტატიები გამოქვეყნებული აქვს ზოგადად სამოქალაქო სამართალში იპოთეკის საკითხებთან დაკავშირებით და არა სამეწარმეო სამართალში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამაში ჩარიცხულია 27 სტუდენტი, რაც ქმნის მისაღებ თანაფარდობას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობას შორის. უსდ-ს აკადემიური პერსონალის შერჩევისთვის გათვალისწინებული აქვს საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაში არის მოქმედ მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სამაგისტრო პროგრამა - თვითშეფასების ანგარიში - ინტერვიუ - დანართი დოკუმენტები
რეკომენდაციები: მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენლის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყოს საგნის მოთხოვნებთან და ამ საგნის სწავლის შედეგებთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
Ø დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; Ø უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

დაწესებულების ადმინისტრაცია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან რეგულარულად მართავს შეხვედრებს, ხდება სტუდენტებთან უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფა, მათი გამოკითხვა, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, შესაბამისი უკუკავშირის მიღება, მისი პროგრამაში გათვალისწინების მიზნით. ადმინისტრაციის თანამშრომელები უზრუნველყოფენ უშუალოდ კავშირს როგორც სტუდენტებთან ისე აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან, ამასთან მათ ყოველთვის ოპერატიულად მიეწოდებათ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია ტექნიკურ და სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებსა თუ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარების, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მობილობა პარტნიორ ევროპის უნივერსიტეტებში (ერასმუსის პროგრამის ფარგლებში), ასევე უცხოელი ლექტორების მოწვევა. სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით, 2019 წელს გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები". კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებები სამეცნიერო კრებულის სახით გამოიცა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შეუერთდა სამეცნიერო ჟურნალს, „ცხოვრება და კანონი". სადაც პერიოდულად უნივერსიტეტის სახელით, აკადემიური პერსონალი აქვეყნებს სტატიებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

აუცილებელია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის მიხედვით უფრო მეტი აკადემიური/მოწვეული პერსონალი მიიღებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და აღნიშნულ აქტივობებს ექნება სისტემატიური ხასიათი; ამისათვის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელია უნივერსიტეტმა, გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი და შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვროს აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი; ამასთან ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები კარგ მდგომარეობაშია და შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისათვის. საბიბლიოთეკო რესურსი მრავალფეროვანია, სამართლის ბიბლიოთეკა გამოირჩევა მრავალფეროვანი ლიტერატურით, მათ შორის, უცხოენოვანი წიგნებით. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ონლაინ რესურსი: "EBSCO"; უსდ-ს წარმოდგენილი აქვს კონსორციუმის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც წვდომა აქვს ელსევიერის კონკრეტულ ბაზებზე. მოცემულ ბაზებზე წვდომა ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად აითვისონ, უცხოენოვანი უახლესი წყაროები და გამოიყენონ სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების პროცესის განმავლობაში. უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სწავლების მართვის ისეთ სისტემას, როგორიცაა: "Moodle"; კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ კვლევითი სამუშაოს განხორციელების დროს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა.

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი იმიტირებული სასამართლო დარბაზი და კრიმინალისტიკის ლაბორატორია.

ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი რომელიც ძალიან მოქნილია, ბიბლიოთეკაში წიგნებთან მუშაობა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე აქვს სრული წვდომა „კოდექსის" პროგრამაზე და გააჩნია ელექტრონული წიგნების ფონდი.

ასევე აქვს, უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი აუდიტორიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

ხელშეკრულებები/მემორენდუმები;

- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ვიზიტისას განხორციელებული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები არის ეკონომიკუად მიღწევადი. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს ბიუჯეტის რაოდენობა მცირდება წლებთან ერთად, ბიუჯეტი არის დივერსიფიცირებული და არის დამოკიდებული დაფინანსები სხვადასხვა წყაროებზე, თუმცა ძირითად შემოსავლად რჩება სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის ღირებულების გადასახადი. თუმცა ბიუჯეტის შემცირებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს პროგრამის მდგრადობაზე.

ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო მივლინებების და სახელმძღვანელოების შეძენის ხარჯს. თუმცა უმჯობესი იქნება თუ პროგრამის ბიუჯეტი ასევე გაითვალისწინებს პროფესიული განვითარების ხარჯებს, პუბლიკაციის გამოქვეყნების და მსგავსი სახის

ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამი ბიუჯეტი
- უსდ-ს და ფაკულტეტის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სიმყარის შექმნა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს ფინანსურ მდგრადობაზე

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია თუ უკეთესად იქნება ბიუჯეტის დივერსიფიცირება გაკეთებული, მითითებული იქნება როგორც ხარჯების, ასევე, დაფინანსების მიღების განსხვავებული წყაროები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		**X**		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში, თუმცა, ასევე ინტერვიუს შედეგით გამოვლინდა, რომ ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, პრაქტიკულად, მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის „ასამოქმედებელი და სისრულეში მოსაყვანია“. სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოთქმული რეკომენდაციები და შენიშვნები გადაეცემათ პროგრამაში ჩართულ პირებს, ასევე პროგრამის შემუშავების, გადამუშავება-განახლების ჯგუფს, რომელიც პროგრამის მოდიფიცირებისას ითვალისწიონებს აღნიშნულ რეკომენდაციებს. პროგრამა ფასდება ორი მიმართულებით: პროგრამის განხორციელების შეფასებისა დ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კუთხით. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის

განხორციელების შეფასებას უნივერსიტეტში მოქმედი წესის მიხედვით უზრუნველყოფენ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასება ხდება აპრობირებული შეფასების არაპირდაპირი მექანიზმებით, რაც მისი (პროგრამის განხორციელების თაობაზე ნათელი სურათის მიღების ხელშემწყობი ფაქტორია. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ფაქტობრივად, არ არის გაწერილი, რითიც ვერ ხერხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა, პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებში არსებითი პრობლემები იკვეთება. კერძოდ, პროგრამის მიზნები არ არის დაკონკრეტებულად პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით, ანუ პროგრამას აქვს ბევრი მიზანი, რომელიც კომპლექსურად გაერთიანებულია 6 მიზანში; ასევე, პროგრამას აქვს სწავლის ბევრი შედეგი, რომელიც დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, გაერთიანებული ასევე 6 კომლექსურ შედეგში, თუმცა, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული მიზნისა და კონკრეტული შედეგის ურთიერთმიმართებას, რათა ის გაზომვადი იყოს და აქედან გამომდინარე, რეალისტური და მიღწევადი. აღნიშნული მოცემულობა სწორად რომ იქნეს გაანალიზებულია, აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ლოგიკურად თანმიმდევრული მონაცემების წინასწარ განსაზღვრულ დროში შეგროვება, შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, მათი შეფასება და შეფასების შედეგების დადარება ემპირიული კვლევის შედეგად წინასწარ დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. მიღებული შედეგები აპრიორი განაპირობებს პროგრამის სწავლის შედეგების კრიტიკულ გადახედვას და დღის წესრიგში დააყენებს მისი მოდიფიცირების აუცილებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგრიშზე მუშაობის შედეგად გამოკვეთილ სუსტ მხარეებსა და მათი აღმოფხვრის საკითხებზე არსებითი მსჯელობა ინტერვიუების დროს ვერ დადგინდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **თვითშეფასების ანგარიში.**
- **შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები.**

  ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

აუცილებელია დაინტერესებულ პირთა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში მეტი, ფართო და უშუალო ჩართულობა.

აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დრო იკვეთებოდეს სუსტი მხარეები, ის ხდებოდეს მსჯელობის საგანი სამომავლო გაუმჯობესების მიზნით. მოცემული პროცესი უნდა აისახოს თვითშეფასების ანგარიშში შეძლებისდაგვარად ზუსტად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიმართ აქტიურად არის გამოყენებული გარე ხარისხის შეფასების შედეგები. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2018 წელს განხორციელებული გარე ხარისხის შეფასების საფუძველზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებია განხორციელებული. ცვლილებები გაგრძელდა 2019 წელსაც, როდესაც აკრედიტაციის ბაჭოს გადაწყვეტილებით კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას განესაზღვრა რეკომენდაციები და რჩევები და რომელთა არსებითი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **გარე ხარისხის შეფასების შედეგები.**
- **თვითშეფასების ანგარიში.**
- **განხორციელებული ცვლილებები.**

ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების *სისტემა და სტუდენტთა მონიტორინგის შეფასების მექანიზმები,* რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის ჩართულობით, უნივერსიტეტში ხორციელდება ჩამოთვლილ დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები თავიანთ პოზიციას აფიქსირებენ კითხვარების შევსების ფორმით, ხოლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს წარუდგენს რეკომენდაციებს. თუმცა, პროგრამის მონიტორინგის კუთხით არ განხორციელებულა მისი უცხო პროგრამასთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · **პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება.** · **უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.** · **თვითშეფასების ანგარიში.** **ინტერვიუირება**

რეკომენდაციები:

პროგრამის მონიტორინგის კუთხით არ განხორციელებულა მისი უცხო პროგრამასთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. სასურველია, რომ აღნიშნული პროცესი იმ კომპლექსური მექანიზმების პარალელურად სრულდებოდეს, რომელიც ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე შეფასების სხვა მექანიზმების ერთობლიობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

ტანდარტი	ესაბამისობაშია ოთხოვნებთან	ეტწილად ესაბამისობაშია ოთხოვნებთან	აწილობრივ ესაბამისობაშია ოთხოვნებთან	რ არის ესაბამისობაში ოთხოვნებთან
წავლების არისხის ანვითარების ესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

კერძო სამართალი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:64

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით მაისურაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი მახარობლიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა თათია უბერი